

**ვებ-გვერდის გამოყენებამდე ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე გამოყენების წესებს.**

წესები და პირობები

1. ზოგადი დებულებები

ეს წესები და პირობები (შემდგომში "პირობები") წარმოადგენს [www.Apartments.ge](http://wwwApartments.ge)-ს (შემდგომში "Apartments.ge" ) შეთავაზებას ინტერნეტის მომხმარებელისათვის (შემდგომში „მომხმარებელი“) რომელიც, არეგულირებს მომხმარებლის მიერ [www.Apartments.ge](http://www.Apartments.ge)-ს ვებ-გვერდის გამოყენებას.

პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც კომპანია თქვენგან ან მესამე პირებისგან მოიპოვებს მუშავდება წინამდებარე წესებში განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

მომხმარებელი, რომელსაც სურს [www.Apartments.ge](http://www.Apartments.ge)-ს ვებ-გვერდის გამოყენება, ვალდებულია დაეთანხმოს და დაიცვას ქვემოთ მოყვანილი წესები და პირობები. [www.Apartments.ge](http://www.Apartments.ge) უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს ცალმხრივად, ამავე ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით, შეიტანოს ცვლილებები ამ პირობებში მომხმარებლის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე. ზემოთხსენებული ცვლილების შემდეგ ვებ-გვერდის და მომსახურების გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება მომხმარებლის ხელშეკრულების ცვლილებებზე თანხმობად. თქვენი პასუხისმგებლობაა, პერიოდულად შეამოწმოთ წესების განახლებები.

საიტზე განთავსებული წესების და პირობებზე დათანხმებით მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება ჩვენი საიტის კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

2. აღნიშნულ წესებსა და პირობებზე თანხმობით ვებ-გვერდის მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

1. "Apartments.ge" წარმოადგენს შუამავალს უძრავი ქონების მესაკუთრებსა და მომხმარებლებს შორის.
2. მომხმარებლის მიერ საიტზე განთავსებული მომსახურების მიღებისას მიიჩნევა, რომ მისთვის მისაღებია საიტის ყველა პირობა სრულიად, ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისის გარეშე.
3. „მომხმარებელთათვის“ რომლებიც არ ეთანხმებიან საიტის პირობებს და ვადებს, მათთვის არ არის რეკომენდირებული საიტის გამოყენება.
4. „Apartments.ge“ არ წარმოადგენს მის საიტზე განთავსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და იგი შესაბამისად არ არის ხელშეკრულების მხარე.
5. "Apartments.ge" არ არის პასუხისმგებელი საიტზე განთავსებული უძრავი ქონების საიტზე არსებულ აღწერილობასა და მის რეალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

- .6. მომხმარებლის მიერ საიტზე განთავსებული ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც ეხება უძრავი ქონების აღწერილობას (ფოტოსურათები, მისამართი და სხვ.) არის საჯარო ინფორმაცია და მისი მიღების საშუალება ექნება საიტის ყველა მომხმარებელს.
- .7. მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული ყველა მონაცემი არის ზუსტი.
- .8. ვებ- გვერდი არ არის ვალდებული და შესაბამისად არ ამოწმებს მომხმარებლის მიერ განთავსებული უძრავი ქონების მისდამი კუთვნილების საკითხს.
- .9. დაუშველია ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადებების, ფოტოსურათებისა და სხვა მასალი გამოყენება სხვა მიზნებისათვის სხვა მომხმარებელთა მიერ.
- .10. იმ შემთხვევაში თუ ვებ-გვერდის დახმარებით მომხმარებელთა შორის დაიდება ხელშეკრულება, ვებ-გვერდი არ იქნება პასუხისმგებელი:
  - მომხმარებლებს შორის დადებული ხელშეკრულების სრულ კეთილსინდისიერ შესრულებაზე;
  - მომხმარებლის მიერ საიტზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე;
  - მომხმარებლის მიერ განთავსებული განაცხადის აღწერილობასა და რეალურ მდგომარეობას შორის განსხვავებაზე;

### 3. ვებ-გვერდის გამოყენების პირობები, რეგისტრაცია

1. მომხმარებელი, რომელსაც სურს რომ მისი უძრავი ქონების შესახებ განცხადება განათავსოს ვებ-გვერდზე ვალდებულია დარეგისტრირდეს.
2. რეგისტრაციის პროცესში მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის წესებსა და პირობებზე დათანხმება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი ვერ მოახერხებს ვებ-გვერდზე რეგისტრაციას.
3. იმ, მომხმარებლებისათვის , რომლებსაც სურთ უკვე ვებ-გვერდზე განთავსებული განაცხადების დათვალიერება/მოძიება ვებ-გვერდზე რეგისტრაცია არ არის სავალდებულო.
4. მომხმარებელს რომელიც დარეგისტრირდება საიტზე ვალდებულია დაიცვას მის მიერ რეგისტრაციის პროცესში გამოყენებული „მომხმარებელი“-სა და „პაროლი“-ს კონფიდენციალურობა.
5. რეგისტრაციის შემთხვევაში მომხმარებელი არის პასუხისმგებელი მისი ანგარიშიდან განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, იმ შემთხვევაშიც თუ ქმედება განხორციელებულია მესამე პირის მიერ.
6. თუ ამ მუხლის მე-4- 5 პუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებას მოყვება ზიანი ვებ-გვერდი ამ ზიანისათვის რა აგებს პასუხს.
7. მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მის პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. ვებ-გვერდი არ იქნება პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანზე. ვებ-გვერდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მომხმარებლისგან ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა;

#### 4. გადახდის წესი და პირობა

1. ვებ-გვერდით მომსახურების საფასური რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის, რომლებიც ვებ-გვერდზე ათავსებენ თავიანთ განცხადებას შეადგენს ღირებულების 10%-ს.
2. მომხმარებლებისათვის რომლებიც ვებ-გვერდის მეშვეობით ახორციელებენ მათთვის სასურველი უძრავი ქონების დაჯავშნას საიტზე იხდიან ღირებულების 30%.
3. რეგისტრირებული მომხმარებლის (უძრავი ქონების მესაკუთრის) მიერ უკვე გაკეთებული ჯავშნის გაუქმების შემთხვევაში არ უბრუნდება საიტის მომსახურების ღირებულების 10%;
4. მომხმარებელს, რომელიც ვებ-გვერდის მეშვეობით ჯავშნის მისთვის სასურველ უძრავ ქონებას არ უბრუნდება დაჯავშნისას გადახდილი ღირებულების 30%.
5. ვებ-გვერდის საშუალებით ხორციელდება მხოლოდ ჯავშნის ღირებულების 30% გადახდა, ხოლო დანარჩენი საფასურს კლენტი უშუალოდ უხდის უძრავი ქონების მესაკუთრეს, შესაბამისად მათ შორის შემდგომში არსებულ ურთიერთობაზე პასუხისმგებელი არ არის ვებ-გვერდი.

#### 5. ვებ-გვერდზე რეგისტრაციისათვის საჭირო ინფორმაცია

1. მომხმარებლის სახელი – ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც უნიკალურია.
2. პაროლი – ვებ-გვერდზე რეგისტრაციის მსურველი მომხმარებლის მიერ სისტემასში შეყვანილი სიმბოლოების ერთობლიობა.
3. მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი - რომლის მეშვეობითაც მოხდება ვებ-გვერდსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია, ასევე ვებ-გვერდის მიერ აღნიშნულ მეილზე იქნება მიწოდებული ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ვებ-გვერდის სრულფასოვანი გამოყენებისათვის.
4. მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერი;
5. ასევე ვებ გვერდს რეგისტრაციისათვის გააჩნია ორი დამატებითი ფუნქცია:
  - LOGIN WITH FACEBOOK;
  - LOGIN WITH GOOGLE;
6. ვებ-გვერდზე ამ ტიპის რეგისტრაციის შემთხვევაში გამოყენებული იქნება მომხმარებლის მიერ „Facebook“-ისა და „Google“-სათვის გაზიარებული პერსონალური მონაცემები;

#### 6. ავტორიზაცია

1. ანგარიშის რეგისტრაციისა და ვერიფიკაციის შემდეგ, ვებ-გვერდის გამოყენების მიზნით მომხმარებელი გადის ავტორიზაციას.
2. ავტორიზაცია ხორციელდება მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის პროცესში გამოყენებული ინფორმაციის („მომხმარებელი“ და „პაროლი“) გამოყენებით.

## 7. კომპანიის პასუხისმგებლობის

[www.Apartments.ge](http://wwwApartments.ge) პასუხისმგებელია:

1. პირად ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
2. განმცხადებლისთვის გადაცემული მისი უძრავი ქონებით დაინტერესებულ კლიენტთა საკონტაქტო ინფორმაციის სისწორესა და ვალიდურობაზე;

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ძალაში შესვლის შემდგომ ძალაში რჩება მომხმარებლის რეგისტრაციის გაუქმებამდე.

## 9. კანონმდებლობა, დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ამ პირობებთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით.
3. თუ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, მაშინ მიმართავენ საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

## 10. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

1. ვებ-გვედი უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ვებ-გვერდი მომხმარებლის პერსონალურ ინფორმაციას ითხოვს საჭიროებიდან გამომდინარე, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მის მიერ ეფექტური მომსახურების გასაწევად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია კომპანიისგან მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე.
3. ვებ-გვერდი ზრუნავს პირადი კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებასა და გაუმჟღავნებლობაზე, მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თქვენი მონაცემების დისტანციურად მოწოდების პროცესი არ არის დაშიფრული, კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირების მიერ თქვენი მონაცემების არასანქცირებულ წვდომაზე ამ მონაცემების მიწოდების დროს.

## 11. წინამდებარე პირობებში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე პირობები შესაძლებელია დაექვემდებაროს ცვლილებებს. ცვლილებები განხორციელებულ იქნება კომპანიის მხრიდან მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

2. მომხმარებელი ვალდებულია ვებ-გვერდის გამოყენების პროცესში წერილობლიად გადაამოწმოს მისი გამოყენების წესი და პირობები.

## 12. ვებ-გვერდზე განცხადების განთავსება

1. მომხმარებელს არ აქვს უფლება ვებ-გვერდზე განათავსოს განცხადება, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
2. მხარეები აცნობიერებენ და ადასტურებენ, რომ თავად კომპანია არ სთავაზობს უძრავ ქონებას კლიენტს და რომ, იგი არ წარმოადგენს განმცხადებელის დამქირავებელს/დამსაქმებელს კონკრეტული უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით;
3. განცხადების განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს განცხადებაში მითითებული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება, ან მოპოვებული აქვს შესაბამისი თანხმობა უძრავი ქონების სარეალიზაციოდ შეთავაზებისათვის.
- ✓ მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადება არ უნდა :
  - იყოს მცდარი, არაზუსტი და არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში მომხმარებელი.
  - ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს, ან ნდობით ბოროტად სარგებლობას.
  - ეხებოდეს მესამე პირის საკუთრებას, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის პირად უფლებებს.
  - შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის ღირსებას ან ბიზნეს რეპუტაციას.
  - შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა დისკრიმინაციას.
  - შეიცავდეს მუქარას ვინმეს მიმართ.
  - მოუწოდებდეს კრიმინალური ქმედებისაკენ.
  - უწევდეს მხარდაჭერას, ან პროვოცირებდეს ტერორისტულ და ექსტრემისტულ ქმედებებს.
  - შეიცავდეს პორნოგრაფიულ შინაარსს.
  - არღვევდეს რაიმე სხვა გზით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
  - მომხმარებლის მიერ ამ მოთხოვნათა დაუცველად ატვირთული ნებისმიერი განცხადება წაიშლება ვებ-გვერდის მიერ, ხოლო მომხმარებელი დაიბლოკება.
4. განმცხადებელი უძრავ ქონებაზე ინფორმაციას და მისი მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას ვებ-გვერდზე ანთავსებს შესაბამის საინფორმაციო ველებში შეყვანით.
5. ვებ-გვერდის გამოყენებისას მომხმარებელს აქვს წვდომა ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე.
6. მომხმარებელს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეუძლია შეარჩიოს უძრავი ქონებისა და გარიგების ტიპი, ტერიტორია, ფასი და სხვა, რის შემდეგაც ვებ-გვერდი შეარჩეული ფილტრების შესაბამისად შეარჩევს კლიენტისთვის სასურველ პროდუქტებს.
7. ვებ-გვერდი ადასტურებს, რომ განმცხადებლისთვის მისი უძრავი ქონებით დაინტერესებული მომხმარებლის საკონტაქტო ინფორმაციის გადაცემამდე

კლიენტებთან დაამყარა კავშირი და განმცხადებლისთვის გადაცემული საკონტაქტო ინფორმაცია არის ვალიდური.

### 13. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესები და პირობები წარმოადგენს ხელშეკრულებას მომხმარებელსა და ვებ-გვერდს შორის.
2. ამ წესებისა და პირობების ერთი ან რამოდენიმე პუნქტის გაუქმება, ბათილად ცნობა ან შეწყვეტა არ ნიშნავს მთელი პირობების გაუქმებას, გაბათილებას ან შეწყვეტას.
3. კომპანიას უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში;
4. მომხმარებელი კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ პირობებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს;
5. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით;

ვებ-გვერდზე განტავსებული ყოველგვარი ინფორმაცია წარმოადგენს [www.Apartments.ge](http://wwwApartments.ge)-ს საკუთრებას და მისი ხელყოფის შემთხვევაში იტოვებს უფლებას მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.